

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის
სხდომის ოქმი N52

25 ივნისი, 2021 წელი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ნიბლოშვილი, ა. ლაშვი, ბ. ფირცხელიანი, გ. გოცირიძე, ე. კუხიანიძე, ვ. ძნელაძე,
ვ. ოთარაშვილი, მ. დარჩია, ქ. ჯოხაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. თინათინ გიორგაძე - სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
2. მანანა ბასილაიშვილი - სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის პედაგოგი, სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მდივანი;
3. ნინო ჭონქაძე - სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე; თენგიზ კვიციანი - განმცხადებელი, კლინიკა „კარდუ-მედი“ ექიმი;
4. გიორგი გოგოლაშვილი - „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების“ თანათავმჯდომარე;
5. გელა იორდანიშვილი - არქიტექტორი, თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაციის წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. საკითხი: სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლისთვის ექვთიმე თაყაიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე;

მომხსენებელი: ქალბატონი თინათინ გიორგაძე

თანამდებობა: სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

2. საკითხი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადებების (10/032109128-03; 01.04.2021; 10/03211457-03; 25.05.2021) განხილვა.

მომხსენებელი: ბატონი თენგიზ კვიციანი

თანამდებობა: კლინიკა „კარდუ-მედი“ ექიმი

მეორე მომხსენებელი: ბატონი გიორგი გოგოლაშვილი

თანამდებობა: „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების“ თანათავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც კომისიის წევრების მიერ ერთხმად იქნა მოწონებული და დამტკიცებული.

მოისმინეს:

1. დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მომართა სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლამ ამავე სკოლისთვის ექვთიმე თაყაიშვილის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თხოვნით, რადგან სკოლა ისტორიულად უკავშირდება ექვთიმე თაყაიშვილის სახელს; კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოში დაფიქსირებული განცხადების თანახმად, N28 საჯარო სკოლა მდებარეობს იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილის საკუთრებაში იყო. ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტში უკვე მდებარეობს აღნიშნული პირის სახელობის საჯარო სკოლა - „სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N163 საჯარო სკოლა“ (მის. ისანი-სამგორი, ვაზისუბნის დასახლება, მე-3 მ/რ, 1-ლი კვარტალი). „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი სკოლას არ შეიძლება მიენიჭოს სახელი, რომელსაც ატარებს იმავე თვითმმართველ ერთეულში არსებული სხვა სკოლა. შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ვერ გასცემს თანხმობას სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლისთვის ექვთიმე თაყაიშვილის სახელის მინიჭების თხოვნაზე..

N28 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა თინათინ გიორგაძემ აღნიშნა, რომ სკოლის ადმინისტრაციამ იცოდა ქალაქ თბილისში „სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N163 საჯარო სკოლის“ არსებობის შესახებ. თუმცა, ვინაიდან N28 საჯარო სკოლა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ექვთიმე თაყაიშვილის სახელთან, ადმინისტრაცია იმედოვნებდა, რომ გამონაკლისის სახით მიიღებდნენ თანხმობას. სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო წარმომადგენელმა, ქალბატონმა მანანა ბასილაიშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლა 1994 წლიდან 2005 წლამდე ატარებდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელს, რომელიც დაკარგა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად გარდაიქმნა.

ქალბატონმა მარიკა დარჩიამ მიმართა სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის წარმომადგენლებს და შესთავაზა სკოლისთვის ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლის, ნინო პოლტორაცკაიას სახელის მინიჭების იდეა, ვინაიდან ტერიტორია, რომელზეც სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლა მდებარეობს, ნინო პოლტორაცკაიას ოჯახს ეკუთვნოდა, ასევე, დეპუტატის თქმით, ნინო პოლტორაცკაიას უდიდესი წვლილი მიუძღვის ეროვნული საგანმურის დაცვასა და საქართველოში დაბრუნების საქმეში.

განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს უფროსმა, სალომე ვერულაშვილმა სხდომის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ქალაქ თბილისის N163 საჯარო სკოლას ექვთიმე თაყაიშვილის სახელი 2011 წელს მიენიჭა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით და ვინაიდან 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების თანახმად ერთსა და იმავე მუნიციპალიტეტში ერთი და იმავე პირის სახელი არ შეიძლება მიენიჭოს სკოლებს, მიუხედავად ისტორიული წინაპირობებისა.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა ანა ლაშხმა აღნიშნა, რომ ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურებიდან გამომდინარე მისი სახელის ტარება ბევრი სკოლისთვის სასიხარულოა. ცალკეულ სკოლას კანონმდებლობით არ ეკრძალება მათთვის სასურველი გამოჩენილი პიროვნებისა, თუ მოღვაწის სახელის მინიჭების თხოვნით მიმართოს სახელმწიფო უწყებებს. დეპუტატის თქმით, მოცემულ შემთხვევაში, რეკომენდირებული იქნებოდა N28 და N163 სკოლებს შორის კომუნიკაცია და ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებაზე შეჯერება. ქალბატონმა ანა ლაშხმა დამატებით აღნიშნა, რომ მისთვის მისაღებია ნინო პოლტორაცკაიას სახელის მინიჭების წინადადება, ვინაიდან, ნინო პოლტორაცკაიას მხარდაჭერის გარეშე ექვთიმე თაყაიშვილს გაუჭირდებოდა საქართველოს ეროვნული განძის დაცვა და სამშობლოში დაბრუნება.

კომისიის წევრმა, ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა განმარტა, რომ ექვთიმე თაყაიშვილი იმდენად დიდი პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში, რომ მისი სახელის რამდენიმე სკოლისთვის მინიჭება დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს. ქალბატონებმა მარიკა დარჩიამ და ანა ლაშხმა ბატონ ვაჟა ოთარაშვილს განუმარტეს, რომ „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მოთხოვნებიდან გამომდინარე ერთსა და იმავე მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა სკოლას არ შეიძლება იდენტური სახელები მიენიჭოს.

ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა დააყენა წინადადება ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლისთვის „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის“ სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ქალაქ თბილისში არსებობს თევდორე მღვდლის ქუჩა, რომელიც მსგავსად ექვთიმე თაყაიშვილისა, წმინდანად არის შერაცხული, ამდენად არ შეიძლება დაბრკოლებას წარმოადგენდეს იგივე მიდგომის გამოჩენა საჯარო სკოლასთან მიმართებით.

კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლისთვის განსხვავებული ფორმულირებით სახელის მინიჭება შესაძლებელია, მაგრამ ნებისმიერი გეოგრაფიული ობიექტის, თუ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის წმინდანის სახელის მინიჭების საკითხის განხილვისას აუცილებელია საქართველოს საპატრიარქოს ჩართულობა და შუამდგომლობა.

ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა შესთავაზა კომისიას, მიმართოს საქართველოს საპატრიარქოს სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის სახელდებაზე თანხმობის მისაღებად. ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა ბატონ ვაჟა ოთარაშვილს განუმარტა, რომ განათლებისა და კულტურის კომისიას სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლამ მომართა ექვთიმე თაყაიშვილის სახელის მინიჭების თხოვნით, მაგრამ, რამდენადაც სახელის სხვაგვარად ფორმულირების საჭიროება გამოიკვეთა, სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლამ ახალი წერილით უნდა მომართოს

განათლებისა და კულტურის კომისიას, სადაც განახლებული სახელი იქნება მითითებული. მისივე თქმით, მას, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოკის კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს აქვს გამოცდილება გეოგრაფიული ობიექტებისთვის წმინდანთა სახელების მინიჭებასთან დაკავშირებით, რის გამოც ეს პროცესი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფრთხილ მიდგომას საჭიროებს.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვას:

თინათინ ნიბლოშვილმა, მარიკა დარჩიამ, თინათინ გიორგაძემ, მანანა ბასილაიშვილმა, სალომე ვერულაშვილმა, ლადო ძნელაძემ, ანა ლაშხმა, ვაჟა ოთარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, სსიპ ქალაქ თბილისის №28 საჯარო სკოლისათვის ექვთიმე თაყაიშვილის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის უარყოფითად შეფასების შესახებ.

მომხრე ----- 8

წინააღმდეგი ----- 0

თავი შეიკავა ----- 1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა).

კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, უარყოფითად შეფასდეს სსიპ ქალაქ თბილისის №28 საჯარო სკოლისათვის ექვთიმე თაყაიშვილის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის საკითხი.

2. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობით მომართა კლინიკა „კარდუ-მედის“ ექიმმა, ბატონმა თენგიზ კვიციანმა მე-20 საუკუნის გამოჩენილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის, მიქაელ არამიანცის მემორიალური დაფის თბილისის პირველი საავადმყოფოს შესასვლელთან განთავსების თხოვნით. საკითხის დეტალურად წარმოდგენის მიზნით, სიტყვა გადასცა ბატონ თენგიზ კვიციანს.

ბატონმა თენგიზ კვიციანმა აღნიშნა, რომ კლინიკა „კარდუ-მედის“ მრავალრიცხოვანი კოლექტივის ერთობლივი თხოვნაა, რომ მიქაელ არამიანცის მემორიალური დაფა განთავსდეს თბილისის პირველი საავადმყოფოს შესასვლელთან. მოქალაქის განცხადებით, მიქაელ არამიანცს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს დედაქალაქში ერთ-ერთი პირველი და ამიერკავკასიაში - უდიდესი სამკურნალო დაწესებულების გახსნაში, რამაც დასაბამი მისცა გამოცდილი ექიმების არაერთი თაობის აღზრდასა და მათ პროფესიულ ზრდას.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ კარგი წინადადებაა დასმული და იგი მხარს უჭერს აღნიშნულის განხორციელებას.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა ბატონ თენგიზ კვიციანს განუმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციით მიმართავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველ კომისიას, პარალელურად კი მერიაში, როგორც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს სრულყოფილად შევსებული საპროექტო განაცხადი; რომლის განხილვის შედეგადაც აღნიშნული კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას განთავსების მიზანშეწონილობის თაობაზე.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვას:

თინათინ ნიბლოშვილმა, თენგიზ კვიციანმა, მარიკა დარჩიამ, ლადო ძნელაძემ, ანა ლაშხმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსადმი განცხადებით (19/03211457-03; 25.05.2021) წარმოდგენილი ინიციატივის დადებითად შეფასებისა და მისი კომისიის შესაბამისი რეკომენდაციით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველ კომისიისთვის განსახილველად გადაგზავნის შესახებ.

მომხრე ----- 8

წინააღმდეგი ----- 1 (კომისიის წევრი, ბატონი ვაჟა ოთარაშვილი).

თავი შეიკავა ----- 0

კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა დადებითად შეფასდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსადმი განცხადებით (19/03211457-03; 25.05.2021) წარმოდგენილი ინიციატივა და იგი კომისიის შესაბამისი რეკომენდაციით განსახილველად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველ კომისიას.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა წარმოადგინა დღის წესრიგის მეორე საკითხად გათვალისწინებული მეორე განცხადება, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინა „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების“ თავმჯდომარემ, დეკანოზმა კონსტანტინე გიორგაძემ. აღნიშნული საზოგადოება ითხოვს გამორჩეული ქართველი საზოგადო მოღვაწის, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, პედაგოგისა და საბავშვო მწერლის, იაკობ გოგებაშვილის ძეგლის ქალაქ თბილისში განთავსებას.

საკითხი სხდომაზე წარმოადგინა „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების“ თანათავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი გოგოლაშვილმა. მისი განმარტებით თბილისში დღემდე არ არის იაკობ გოგებაშვილის ძეგლი.

ბატონი გიორგი გოგოლაშვილის თქმით, ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეში წერდა აკაკი წერეთელი, რომ „ჩემი და ილიას დეაწლი რა მოსატანია, იმასთან შედარებით რაც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართული ენისა და ქართველის ერის წინაშე. თუ ჩვენმა ნაწერებმა გზა გაიკვლია ქართველობისკენ, ეს სწორედ მისი სახელმძღვანელოებისა და სკოლის წყალობით განხორციელდა... იაკობ გოგებაშვილი ღირსია იმისა, რომ ქართველობამ მას სიცოცხლეში ძეგლი დაუდგას“. ბატონმა გიორგი გოგოლაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ეს მოსაზრება მე-19 საუკუნის ბოლოს გამოითქვა, მაგრამ სამწუხაროდ დღემდე იაკობ გოგებაშვილის ძეგლი არ დადგმულა. დღეისთვის, იაკობ გოგებაშვილის ბიუსტი მდებარეობს ვარიანში და ორიოდე წლის წინ მისივე მცირე ზომის ბიუსტი განთავსდა ქალაქ თბილისში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმდებარე სკვერში.

გიორგი გოგოლაშვილის თქმით, „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებას“ სურს იაკობ გოგებაშვილის ძეგლი განთავსდეს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, იმ ტერიტორიის მიმდებარედ, სადაც ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლები დგას. მისი განმარტებით, საქართველოს არსებობის მანძილზე მე-19 საუკუნე იყო ერთადერთი, როდესაც ქართულმა ენამ დაკარგა სახელმწიფო ენის სტატუსი, განსხვავებით სხვა ეპოქებისა, როდესაც ქართული ენა ამ სტატუსს ინარჩუნებდა. სახელმწიფო ენის სტატუსის დაბრუნებისთვის, ქართული ენის გადარჩენისთვის ილიას, აკაკისა და იაკობის როლი არის განუსაზღვრელი. თვითონ ტერმინი „ეროვნული სკოლა“ იაკობის შექმნილია, რომელიც მისი ფუძემდებელი იყო, მისი ინიციატივით შეიქმნა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელმაც საქართველოში გახსნა ქართული სკოლები. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით ქართულ სკოლებში პირველ ორ წელს ისწავლებოდა „დედა ენა“ და მესამე-მეოთხე წლებში „ბუნების კარი“.

ბატონი გიორგი გოგოლაშვილის თქმით, ქართულ ენას ძალიან უჭირდა მე-19 საუკუნის დასაწყისში, როდესაც მომძლავრდა რუსიფიკატორული პოლიტიკა და იკრძალებოდა ქართულად მეტყველება. ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იბრძოდნენ სალიტერატურო ქართული ენის დამკვიდრებისათვის. იაკობ გოგებაშვილმა კი შეძლო თავისი სახელმძღვანელოებით სრულიად საქართველო ერთიან ქართულ სალიტერატურო ენაზე აელაპარაკებინა. უფრო მეტიც, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებებიც კი საკუთარ სახელმძღვანელოებში შესწორებული სახით შექმნდა. ანუ, იაკობ გოგებაშვილი იყო ქართული ენის კანონმდებელი, რომელმაც მე-20 საუკუნის ქართულ უნივერსიტეტს მოუმზადა ქართული სალიტერატურო ენის ძლიერი საფუძველი. ბატონი გიორგის განმარტებით, ილია ჭავჭავაძის სამ საუნჯეს: ენას, მამულსა და სარწმუნოებას იაკობ გოგებაშვილმა მეოთხე მიუმატა - ეროვნული სკოლა, რომელსაც „ბურჯი ეროვნებისა“ დაარქვა.

გამოჩენილი მწერალი და პოეტი, გრიგოლ აბაშიძე მიუთითებდა, რომ დედა ენის შექმნა ქართულ სინამდვილეში არის ყველაზე დიდი წვლილი, რაც კი რომელიმე ქართველს მიუძღვის ჩვენი კულტურის ისტორიაში. 1960 წელს ვენესუალეში ჩატარდა მსოფლიოს საანბანე სახელმძღვანელოების გამოფენა-კონკურსი, სადაც გოგებაშვილის „დედა ენის“ საფუძველზე

შედგენილმა სახელმძღვანელომ დაიკავა პირველი ადგილი, რაც მისი სასწავლო მეთოდის გამარჯვებას მოასწავებდა. 2014 წელს „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების“ ინიციატივით იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, განესაზღვრა ეროვნული კატეგორია, 2016 წელს იუნესკომ ქართულ ანბანს მიანიჭა საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და შეიტანა საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში, რომელშიც სულ სამიოდე ქართული ძეგლია. 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა დამატებები შეიტანა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რის შედეგადაც დედა ენის ავტორად ითვლება იაკობ გოგებაშვილი და არა ის პირები, ან ორგანიზაციები, რომლებიც დედა ენის სახელმძღვანელოების რედაქტირებასა და გამოცემას ახდენენ. ამავე წელს სკოლებში მოსწავლეებს საჩუქრად დაურიგდათ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“.

ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ იაკობ გოგებაშვილის ძეგლი უნდა იყოს განსაკუთრებული, განსხვავებული და სიმბოლურად დატვირთული.

თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაციის წარმომადგენელმა, მოქანდაკემ, ბატონმა გელა იორდანიშვილმა აღნიშნა, რომ ასოციაციის აზრით, იაკობ გოგებაშვილის ძეგლი უნდა დაიდგას თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლების სიახლოვეს (სასურველია, ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძარსა და გალერეას შორის ჩასასვლელში); ამასთან, იგი ორგანულად უნდა ერწყმოდეს არქიტექტურასა და სივრცეს, სადაც განთავსდება.

ბატონი ლადო ძნელაძის განმარტებით, კომისიის რეკომენდაციაში უნდა მიეთითოს, რომ იაკობ გოგებაშვილის ძეგლი უნდა განთავსდეს ქალაქ თბილისში ამ უდიდესი პიროვნებისთვის შესაბამის ადგილზე, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ვერსიად შესაძლოა განიხილებოდეს ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძარსა და გალერეას შორის ჩასასვლელი.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ თუ კომისია დადებითად შეაფასებს წარმოდგენილ წინადადებას, თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაციის მოსაზრებას მიუთითებს შუამდგომლობაში, რომელსაც გადააგზავნის მერიის შესაბამის კომისიაში.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თინათინ ნიბლოშვილმა, თენგიზ კვიციანიმა, მარიკა დარჩიამ, ლადო ძნელაძემ, ანა ლაშხმა, გიორგი გოგოლაშვილმა, ერეკლე კუხიანიძემ, გელა იორდანიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსადმი განცხადებით (10/032109128-03; 01.04.2021) წარმოდგენილი ინიციატივის დადებითად შეფასებისა და მისი კომისიის შესაბამისი რეკომენდაციით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველ კომისიისთვის განსახილველად გადაგზავნის შესახებ.

| | |
|--------------------|---|
| მომხრე ----- | 9 |
| წინააღმდეგი ----- | 0 |
| თავი შეიკავა ----- | 0 |

კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, დადებითად შეფასდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსადმი განცხადებით (10/032109128-03; 01.04.2021) წარმოდგენილი ინიციატივა და იგი კომისიის შესაბამისი რეკომენდაციით განსახილველად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველ კომისიას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თინათინ ნიბლოშვილი

